Global Schools Program

ურსის მიმოხილვა

1-ლი კლასი

წყარო: Reimers, F. (2017). “მოსწავლეების გაძლიერება და მოტივირება სამყაროს უკეთესობისკენ შესაცვლელად 60 გაკვეთილში”. 1-ლი გამოცემა. საგამომცებლო პლატფორმა *Createspace Independent*.

საავტორო უფლება: © 2017 Fernando M. Reimers. ნაშრომის ლიცენზია - Creative Commons Attribution 4.0 International License. ლიცენზიის ასლის ნახვა შესაძლებელია ბმულზე: https://creativecommons.org/licenses/by/4.0/ ყველა უფლება დაცულია.

შენიშვნა: ყველა კომპონენტი გამოქვეყნდა გლობალური სკოლების პროგრამისგან დამოუკიდებლად.

მიმოხილვა	
წავლის მიზანი ოსწავლეები გააცნობიერებენ, რომ ისინი არიან თავიანთი ოჯახის, თემის, კლასის, სამეზობლოსა და მსოფლიოს აქტიური წევრები.	
აკვეთილის შაბლონი	
გაკვეთილი 1	ინ ვარ მე? ა მხდის ბედნიერს და ჯანმრთელს?
გაკვეთილი 2	ა არის თემი? ემი კლასის, სამეზობლოს, ქვეყნის შესწავლა
გაკვეთილი 3	ა ხდება, როცა ჩვენ ყველანი არ ვართ ბედნიერნი და ჯანმრთელნი?
გაკვეთილი 4	ანასწორობა და სამართლიანობა: ჩვენ ყველანი დაკავშირებულნი ვართ ერთმანეთთან!
გაკვეთილი 5	ვენი საკუთარი ადამიანის უფლებების დეკლარაცია
წავლის მიზნები	
• ოსწავლეები გამოიმუშავებენ კულტურული მრავალფეროვნების დაფასებასა და პატივისცემას. • ოსწავლეები გამოიყენებენ კლასში შეძენილ ცოდნასა და კონცეფციებს თავიანთ თემსა და ყოველდღიურ ცხოვრებაში. • ოსწავლეები დაფიქრდებიან იმაზე, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ თავიანთ თემში წვლილის შესატანად.	

კლასი 1 გაკვეთილი 1

“ ინ ვარ მე? ა მხდის მე ბედნიერს და ჯანმრთელს?”

ხანგრძლივობა: 60 წუთი
თემები: ვიზუალური ხელოვნება, წერა
სტანდარტები: ჯანმრთელობა და კეთილდღეობა (SDG 3); ხარისხიანი განათლება (SDG 4)
ავტორი: Katherine Kinnaird

ეჯამება და დასაბუთება: ეს გაკვეთილი მიზნად ისახავს მოსწავლეებს ჩაუყაროს საფუძველი თვითგამოხატვისა და თვითშემეცნებისათვის, რათა მათ ჰქონდეთ შესაბამისი ინსტრუმენტები, რომ შემდგომ გაკვეთილებზე დაფიქრდნენ სხვებზე. ეს არის პირველი ნაბიჯი მოსწავლეებისთვის აღმოაჩინონ საკუთარი ადგილი სამყაროში.

ასწავლო მიზნები: მოსწავლეები შეძლებენ...

- თვითშეფასებისა და თვითპატივისცემის გრძნობის განვითარება
- კრიტიკულად აზროვნება იმაზე, თუ რა ხდის მათ იმათ, ვინც არიან
- შეიძინონ თვითგამოხატვის ინსტრუმენტები (წერილობითი და ზეპირი)
- წერის და სივრცითი ცნობიერების უნარის გაუმჯობესება ხელოვნების საშუალებით

აცნობიერების მიზნები: ბუნებრივი ცნობისმოყვარეობის გაღრმავებით მოსწავლეები მიხვდებიან, რა ხდის მათ უნიკალურს, ამოიცნობენ რა მოსწონთ და რა არ მოსწონთ და დაიწყებენ კრიტიკულად ფიქრს იმაზე, თუ რატომ აკეთებენ იმას, რასაც აკეთებენ.

ნიშვნელოვანი კითხვები:

- ინ ვარ მე?
- ა არის მნიშნელოვანი ჩემთვის? რატომ?
- ა მომწონს? ა არ მომწონს? რატომ?
- ოგორი მინდა ვიყო მომავალში? რატომ?

ოსწავლეები შეძლებენ:

- ოუყვნენ სხვებს თავიანთი თავის შესახებ
- ამოხატონ თავი ხელოვნების და წერის საშუალებით

შეფასება: მასწავლებელს შეუძლია დაუსვას კითხვები მოსწავლეებს, რათა დაადგინოს რამდენად გასაგებია თემა მათთვის. ასწავლებელს შეუძლია ეს გააკეთოს გახსნის აქტივობის, ძირითადი აქტივობის და დახურვის აქტივობის დროს. მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეების თვითგამოხატვის უნარი შეამოწმოს შემდეგი რუბრიკის საშუალებით:
1 - შეზღუდული გამოხატვა: მოსწავლეები აზიარებენ მცირე ინფორმაციას ან საერთოდ არ აწვდიან ინფორმაციას საკუთარ თავზე.

2 - ნაწილობრივი გამოხატვა: მოსწავლეები აზიარებენ ინფორმაციას, მაგრამ არათანმიმდევრულ პასუხებს აძლევენ.
3 - ადეკვატური გამოხატვა: მოსწავლეები აზიარებენ ინფორმაციას საკუთარ თავზე, ოჯახზე, მეგობრებზე და ასევე იმაზე, რა მოსწონთ და რა არ მოსწონთ, მაგრამ არ განმარტავენ არც ერთ პასუხს.
4 - კარგი გამოხატვა: მოსწავლეები მასწავლებელს უზიარებენ ინფორმაციას საკუთარ თავზე, ოჯახზე, მეგობრებზე, იმაზე, თუ რა მოსწონთ და რა არ მოსწონთ, მაგრამ არა - თანაკლასელებს.
5 - შესანიშნავი გამოხატვა: მოსწავლეები ძალიან დეტალურად უზიარებენ ინფორმაციას საკუთარ თავზე, ოჯახზე, მეგობრებზე და იმაზე, თუ რა მოსწონთ და რა არ მოსწონთ როგორც მასწავლებელს, ასევე თანაკლასელებს.

ქტოვობათა თანმიმდევრობა:

- **ახსნის აქტივობა (10 წუთი):** მასწავლებელი ამზადებს მოსწავლეებს დისკუსიისთვის და აცნობს აქტივობების სიას. ოსწავლეები იწევენ ხელს, თუ მოსწონთ ეს აქტივობა. ასწავლებელი შეარჩევს ორ მოსწავლეს, რომლებიც ახსნიან, რატომ მოეწონათ მათ ეს აქტივობა და შეარჩევს ასევე ორ მოსწავლეს, რომლებმაც არ აიწიეს ხელი და ისინი ახსნიან რატომ არ მოეწონათ ეს აქტივობა.
- **ირითადი აქტივობა (30 წუთი):** მოსწავლეები დახატავენ იმას, თუ რა ხდით მათ ისეთებს, როგორებიც არიან.
- **ახურვის აქტივობა (10 წუთი):** მოსწავლეები გაუზიარებენ თანაკლასელებს თავიანთ ნახატებს, რათა ხელი შეეწყოს მათი კომუნიკაციური უნარების განვითარებას.

ესურსები მოსწავლეებისთვის: კლასიდან, კონტექსტიდან და მოსწავლეების შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მასწავლებელს შეუძლია გადაწყვიტოს აჩვენოს თუ არა მაგალითი პირადი პორტრეტის (მაგ:ცნობილი მხატვარის ავტოპორტრეტი ან სხვა პირველკლასელის ავტოპორტრეტი) ან მისცეს საშუალება მოსწავლეებს თავად შექმნან საკუტარი ავტოპორტრეტი.

ესურსები მასწავლებლებისთვის:

- ასწავლებლის ვორქშოფი — ავტოპორტრეტები: https://www.teachkidsart.net/teacher-workshop-self-portraits/
- ირველადი პორტრეტის პროექტი : http://tiny.cc/G1L1R2
- ირველი კლასის ავტოპორტრეტები:
- https://www.learningforjustice.org/classroom-resources/lessons/painting-beauty-creating-selfportraits

ლასი 1, გაკვეთილი 2

“ ა არის საზოგადოება: ჩემი კლასი, ჩემი ოჯახი, ჩემი სამეზობლო”

ხანგრძლივობა: 60 წუთი
თემები: ვიზუალური და საშემსრულებლო ხელოვნება
სტანდარტები: ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა (მიზანი 8); მრეწველობა, ინოვაცია, და ინფრასტრუქტურა (მიზანი 9); შემცირებული უთანასწორობა (მიზანი 10); მდგრადი ქალაქები და საზოგადოება (მიზანი 11)
ავტორი: Tatiana Shevchenko

ეჯამება და დასაბუთება: მოსწავლეები გააგრძელებენ თავიანთი ადგილის შეცნობას საზოგადოებაში საკუთარი თავის სამყაროს ნაწილად წარმოდგენის საშუალებით. მოსწავლეები გამოიყენებენ ვიზუალურ და საშემსრულებლო ხელოვნებას, რათა წარმოაჩინონ ადამიანების განსხვავებული როლები მათ ცხოვრებაში.

ასწავლო მიზნები: მოსწავლეები შეძლებენ...

- ისწავლონ იმ თემის, საზოგადოების შესახებ, სადაც ისინი ცხოვრობენ და ასევე იცოდნენ ის ადამიანები, რომლებიც ქმნიან ამ თემს.
- აზოგადოებაში ადამიანების ურთიერთდამოკიდებულების გაცნობიერება
- მათ საზოგადოებაში სხვადასხვა პროფესიის გაგებისა და პატივისცემის გაღრმავება
- აღიარონ მრავალფეროვანი სამუშაოები, რომლებიც შესრულებულია სახლში, სკოლაში და ამ ადგილების გარეთ

აცნობიერების მიზნები: მოსწავლეები გააცნობიერებენ, რომ მათი სამყარო შედგება მრავალი განსხვავებული ადამიანისგან განსხვავებული როლებით და რომ ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებულები და ურთიერთდამოკიდებულნი არიან და ამიტომ უნდა იყვნენ პატივისცემით განმსჭვალულები.

ნიშნელოვანი კითხვები:

- ინ არიან ადამიანები, ვინც არიან ჩემს ცხოვრებაში?
- ა როლს თამაშობენ ისინი?
- ოგორ არიან ადამიანები ჩვენს საზოგადოებაში ურთიერთდამოკიდებულნი?
- ოგორ არის ჩემი ყოველდღიური რუტინა დამოკიდებული/დაკავშირებული საზოგადოებასთან?
- ა მოხდება, თუ ეს ხალხი შეწყვეტს საზოგადოებაში თავიანთი როლის შესრულებას?
- ოგორ გამოხატავთ პატივსცემას ადამიანების მიმართ?

ოსწავლეები შეძლებენ:

- საკუთარი თავისა და მათ ცხოვრებაში განსხვავებული ადამიანების კრიტიკულად შეფასება
- სტორიების გაზიარება და გამოცდილებების შედარება
- უნდურად მუშაობა პლაკატის შესაქმნელად
- ესრულება კლასის წინაშე
- ეადაროს და განასხვაოს გამოცდილებები
- საზოგადოების წევრების განსხვავებული როლების და პასუხიმგებლობების ამოცნობა

შეფასება: მოსწავლეები შეფასდებიან აქტივობაში მონაწილეობის დონის მიხედვით:

3 - აქტიური მონაწილეობა: მოსწავლე თავისუფლად ურთიერთობს, კარგად მუშაობს სხვებთან ერთად, მონაწილეობს გუნდურ დისკუსიაში, მონაწილეობს სპექტაკლის დადგმასა და წარმოდგენაში
2 - ზომიერი მონაწილეობა: მოსწავლე აქტიურად უსმენს, მაგრამ არ იზიარებს, მუშაობს სხვებთან ერთად, მონაწილეობს საკლასო დისკუსიაში, აქვს როლი სპექტაკლში, მაგრამ არ უწყობს ხელს სპექტაკლის დადგმას
1 - პასიური მონაწილეობა: მოსწავლე არ უსმენს ან არ უზიარებს სხვებს, არ ურთიერთობს თავის გუნდთან, არ ასრულებს ან არ მონაწილეობს სპექტაკლის დადგმაში.

ქტივობათა თანმიმდევრობა:

★ **აწილი 1: გაზიარება და რუკის შედგენა (10 წუთი)**

ასწავლებელი და მოსწავლეები სხდებიან წრეზე და იწყებენ დისკუსიას.
ასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: რას აკეთებთ ყოველდღიურად? ოგორია თქვენი რუტინა?
ოსწავლები აზიარებენ თავიანთ პასუხებს: მაგ. ე ვსაუზმობ, ვმგაზვრობ ავტობუსით, ვიცვამ, სკოლაში მივდივარ და ა.შ.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს უფრო დეტალურად აღწერონ თავიანთი პასუხები. ”ვინ გეხმარებათ ამ საქმეებში? საიდან მოდის ის ნივთები, რომლებსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებთ? ვისთან გაქვთ ურთიერთობა ყოველდღიურად?”
მოსწავლეები პასუხობენ: მაგ. ”დედა დილით საუზმეს მიმზადებს, მასწავლებელი მასწავლის, ტანსაცმელს ბებია ამზადებს/მაღაზიაში ვყიდულობ, ავტობუსის მძღოლს მოვყავარ სკოლაში და ა.შ

★ **ნაწილი 2: როლური თამაში (40 წუთი)**

2.1 — გუნდური სავარჯიშო (10 წუთი)

- ოსწავლეები დაყოფილები არიან 2-3 კაციან ჯგუფებად.
- გუნდის თითოეული წევრი უზიარებს გუნდს თავის სცენარს ყოველდღიური რუტინიდან, თუ როგორ გამოიყურება ის საზოგადოების ძირითადი წევრების გარეშე, რომლებიც ჩართულნი არიან ამ რუტინაში.
- წევრები მოქმედებით გამოხატავენ, თუ როგორი იქნებოდა მათი ცხოვრების რუტინა მთავარი ადამიანების ან ძირითადი ნივთების გარეშე.
- თითოეული ჯგუფი ირჩევს მოქმედების ერთ სცენარს.

ოლური დადგმის მაგალითი:
გარემო: პატარა ქალაქი, დილა

მოსწავლე 1 (მოსწავლე): მე მზად ვარ სკოლაში წასასვლელად. ავტობუსის გაჩერებისკენ მივდივარ და შესანიშნავი დღეა. ყოველ დილით ავტობუსით მივდივარ სკოლაში, ეს მშვენიერია!

მოსწავლე 2 (ავტობუსის მძღოლი): მე ვატარებ ავტობუსს ყოველ დილა, მაგრამ დღეს მე თავს ცუდად ვგრძნობ. დღეს ვერ შევძლებ მოსწავლეების სკოლაში წაყვანას.

მოსწავლე 1 (მოსწავლე): მე ვუცდი ავტბუსს,მაგრამ არ მოდის. მგონი დღეს ვერ შევძლებ სკოლაში წასვლას.

მოსწავლე 3 (მასწავლებელი): ძალიან ვწუხვარ ჩემს მოსწავლეებზე. ვიმედოვნებ ისინი კარგად არიან. არავინ მოვიდა დღეს კლასში.

მოსწავლე 1 (მოსწავლე): დღეს ჩემი საყვარელი გაკვეთილი იყო, ჩვენ კუების შესახებ უნდა გვესწავლა, მაგრამ ამას ვერ შევძლებ დღეს. ვიმედოვნებ ავტობუსის მძღოლი კარგადაა!

მოსწავლე 2 (ავტობუსის მძღოლი): მე მიყვარს ჩემი მეზობელი ბავშვების ტარება სკოლაში. ერთი სული მაქვს ხვალ უკან დავბრუნდე სამსახურში, რომ მათ შეძლონ სკოლაში წასვლა და ბევრი საოცარი რამის სწავლა.

2.2— პრეზენტაცია (30 წუთი)

- 3 კაციანი ჯგუფები თამაშობენ თავიანთ როლებს.

★ **ნაწილი 3: დისკუსია (10 წუთი)**

მას შემდეგ, რაც თითოეულმა ჯგუფმა შეასრულა დავალება, მასწავლებელი სვამს მოსწავლეებს შემდგომი დისკუსიისთვის. მასწავლებელი განმარტავს, რომ ისინი ისაუბრებენ მათს საზოგადოებაში მცხოვრებ ადამიანებზე, რომლებიც გვეხმარებიან.

- ა სახის ქმედებებს ვაკეთებთ ჩვენ ყოველდღიურად?
- ინ იყვნენ ძირითადი მონაწილეები იმ სცენარის, რაც ჩვენ ვნახეთ?
- რა სახის სამუშაოებს, ინსტრუმენტებს და უნიფორმას იყენებენ საზოგადოების ეს წევრები?
- რა სახის კავშირები გვაქვს ჩვენ საზოგადოების სხვადასხვა წევრებთან?
- რა მოხდება, თუ საზოგადოების ზოგიერთი წევრი აღარ იქნება ჩვენი საზოგადოების ნაწილი?
- რა მსგავსება და განსხვავებაა, რასაც ჩვენ ვხედავთ ჩვენს საზოგადოებებში და ყოველდღიურ ცხოვრებაში?
- როგორ ვაფასებთ ჩვენი საზოგადოების წევრებს ყოველდღე?

ესურსები მოსწავლეებისთვის*:

- (ვიდეო) თემის განხილვა ბავშვებისგან: https://youtu.be/5tcix328XmU
- (ვიდეო) რა ქმნის საზოგადოებას: http://tiny.cc/G1L2R2

* მოსწავლეების რესურსები დამოკიდებულია კონტექსტზე და ითვალისწინებს ინტერნეტის ხელმისაწვდომობას და ინგლისური ენის გაგებას.

ესურსები მასწავლებლებისთვის:

- ამეზობლო და საზოგადოებები მსოფლიოში: http://tiny.cc/G1L2R3
- აზოგადოება არის ადგილი, სადაც ხალხი ცხოვრობს: http://tiny.cc/G1L2R4
- აკვეთილის იდეები: საზოგადოების დამხმარეები: http://tiny.cc/G1L2R5
- აზოგადოების დამხარეები Craft Idea: http://tiny.cc/G1L2R6

ლასი 1, გაკვეთილი 3
“უთანასწორობა”

ხანგრძლივობა: 60 წუთი
თემები: მათემატიკა, მეცნიერება
სტანდარტები: ნულოვანი შიმშილი (მიზანი 2); გენდერული თანასწორობა და ქალებისა და გოგონების გაძლიერება (მიზანი 5); შემცირებული უთანასწორობა ქვეყნებში და ქვეყნებს შორის (მიზანი 10)
ავტორი: Kara Howard

ეჯამება და დასაბუთება: ეს გაკვეთილი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ უთანასწორობის საკითხში და წარმოაჩენს საკითხს მორალური, ემპათიური და ეთიკური პიროვნებების ჩამოყალიბების უფრო ფართო ჩარჩოში.

ასწავლო მიზნები: მოსწავლეებს შეეძლებათ...
- ველა ადამიანის ერთმანეთზე დამოკიდებულების ამოცნობა და დაფასება
- არგ ადამიანად ყოფნის სწავლა
- ყლის, ენერგიისა და საკვების სიმცირის გააზრება
- მედებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ ცნობიერების შეძენა ურთიერთდაკავშირებულ კონტექსტში
- თიკური ღირებულებების დაკავშირება შინაარსობრივ ცოდნასთან

აცნობიერების მიზანი: მოსწავლეები გააცნობიერებენ რა არის უთანასწორობა და როგორი გრძნობაა უთანასწორობის საკუთარ თავზე გამოცდა. ოსწავლეები დაიწყებენ ფიქრს იმაზე, თუ რატომ ხდება უთანასწორობა და არის თუ არა ის გამართლებული.

ნიშვნელოვანი კითხვები:
- ა არის უთანასწორობა?
- ოგორ გვაგრძნობინებს თავს უთანასწორობა?
- ოგორ ვხედავთ მას ჩვენს თემში?
- ატომ ხდება უთანასწორობა?

წავლების მიზნები (მოსწავლეებს შეეძლებათ):
- თანასწორობის მაგალითების ამოცნობა
- თანასწორობასთან დაკავშირებული ემოციების განხილვა
- არაუდის გამოთქმა, თუ რატომ ხდება უთანასწორობა

შეფასება: მასწავლებლებს შეუძლიათ არაფორმალური შემოწმების გამოყენება აქტივობის დროს, შემდეგ კი შეფასებისთვის ფორმალური ხასიათის მიცემა და უთანასწორობასთან ასოცირებული ემოციების კოლაჟის შეფასება.

ქტივობების თანმიმდევრობა:

- **შესავალი:** მასწავლებელი გააცნობს ბავშვებს უთანასწორობის საკითხს, როგორც კონცეფციას, რომ ზოგს აქვს რაღაც, სხვებს კი-არა. ასწავლებელი დაუკავშირებს უთანასწორობის კონცეფციას მათემატიკურ უტოლობას "<" ნიშნის და მაგალითების (4 < 6, 2 < 4...) გამოყენებით. ემდეგ მასწავლებელი გამოიყენებს მაგალითებს იმაზე სასაუბროდ, თუ როგორ შეიძლება საგნების უთანასწორო რაოდენობების დანახვა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

- **აქტივობები:** მასწავლებელი ეტყვის მოსწავლეებს, რომ დღეს მან კლასს მოუტანა ტკბილეულობა/ხემსი. (მასწავლებელს შეუძლია ნებისმიერი სახის ტკბილეულობის ან ხემსის მოტანა, რომელიც კონტექსტურად შესაფერისია და შეიძლება პატარა ნაწილებად განაწილდეს, მაგ. მ&მ, ტოფიფი...). ასწავლებელი აუხსნის ბავშვებს, რომ ისინი ახლა ნახავენ, როგორ შეიძლება ცხოვრებაში უთანასწორო მომენტების წინაშე დავდგეთ და ერთად შეასრულებენ აქტივობას, რომელიც საშუალებას მისცემს მათ ისაუბრონ იმაზე, თუ როგორი გრძნობა გვეუფლება უთანასწორობის დროს.

* აუცილებლად გააფრთხილეთ მოსწავლეები, რომ მათ ტკბილეულობა არ უნდა შეჭამონ გაკვეთილის დასრულებამდე.

- **ასწავლებელი იზამს:**
  - აუნაწილებს ხემსის უმრავლესობას ერთ ადამიანს და თითო ხემსს თითოეულ დანარჩენ ბავშვს.
  - ბიძგებს მოსწავლეებს, რომ აღწერონ ეს განაწილება - არის თუ არა ის თანაბარი/თანასწორი.
  - სთხოვს რამდენიმე მოსწავლეს, რომელთაც თითო ხემსი აქვთ, ისაუბრონ როგორ გრძნობენ თავს მხოლოდ ერთი ხემსით, როცა სხვამ მეტი მიიღო.
  - თხოვს მოსწავლეს მეტი ხემსით ისაუბროს თავის გრძნობებზე ამ სიტუაციაში.
  - ეაგროვებს ყველა ხემსს და ხელახლა გაანაწილებს. მჯერად თანაბრად გაუნაწილებს ხემსს ბიჭებს და გოგონებს დატოვებს ხემსის გარეშე.
  - რივე მხარის წარმომადგენლებისგან მიიღებს გამოხმაურებას ხემსის ამგვარი განაწილების შესახებ. ემდეგ დასვამს კითხვებს, მაგ. კარგია თუ არა ბიჭებისთვის უფრო მეტი ხემსის მიცემა, ვიდრე გოგონებისთვის? ატომ?
  - ვლავ შეაგროვებს ყველა ხემსს და ხელახლა გაანაწილებს. მჯერად 2 მოსწავლეს შეხვდება უფრო მეტი, ცოტა მეტ მოსწავლეს (5-10-ს ბავშვების რაოდენობიდან გამომდინარე) - 4-5 ცალი, ხოლო დანარჩენებს (უმრავლესობას) - თითო-თითო.

- ასწავლებელი კვლავ შეეკითხება მოსწავლეებს მოსაზრებებს ხემსის განაწილებაზე და დასვამს შეკითხვას: “არის ეს სამართლიანი?”

- **დასკვნა:** მასწავლებელი გაუძღვება დისკუსიას და სთხოვს მოსწავლეებს წარმოიდგინონ, რომ ხემსის ნაცვლად მათ ჰქონდათ წყალი ან საკვები. ასწავლებელი უბიძგებს მოსწავლეებს, რომ იფიქრონ იმაზე, თუ რა იქნებოდა, მეტი ხემსის მქონე სტუდენტებს დღეში 3-ჯერ რომ ეჭამათ, ხოლო დანარჩენებს-მხოლოდ ერთხელ. ოსწავლეები დაფიქრდებიან იმაზე, თუ როგორ იგრძნობდნენ თავს ასეთ შემთხვევაში. ემდეგ დაფიქრდებიან იმაზე, თუ რას ხედავენ სხვას არათანაბრად განაწილებულს - წყალს, საკვებს, სათამაშოებს, ტანსაცმელს, ფულს... ბოლოს მოსწავლეები იმსჯელებენ, თუ როგორი განაწილება იქნებოდა ყველასთვის უკეთესი.

- **ესურსები მასწავლებლებისთვის:**
  - ათემატიკა და სოციალური სამართლიანობა 1-ელ კლასში: http://tiny.cc/G1L3R1

ლასი 1, გაკვეთილი 4

“ ანასწორობა და სამართლიანობა”

ხანგრძლივობა: 50 წუთი
თემები: სამოქალაქო განათლება, სოციალური სწავლებები
სტანდარტები: სიღარიბის აღმოფხვრა (მიზანი 1); ნულოვანი შიმშილი (მიზანი 2); ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა (მიზანი 8); შემცირებული უთანასწორობა (მიზანი 10); მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუციები (მიზანი 16)
ავტორი: Nicolás Buchbinder

ეჯამება და დასაბუთება: ეს გაკვეთილი საშუალებას მისცემს მოსწავლეებს დაიწყონ თანასწორობასა და სამართლიანობაზე ფიქრი და ანალიზი. ესამე გაკვეთილზე დაყრდნობით მოსწავლეები დაფიქრდებიან მატერიალურ თანასწორობაზე და იმაზე, მოითხოვს თუ არა კონკრეტული კონტექსტური სიტუაციები განსხვავებულ განაწილებას.

ასწავლო მიზანი:

- აცნობიერება, რომ ყველა ადამიანს აქვს ბედნიერი, ჯანმრთელი და პროდუქტიული ცხოვრების უფლება მიუხედავად სქესისა, ასაკისა, შეზღუდული შესაძლებლობისა და ა.შ.
- ველა ადამიანისა და მათი პოტენციალის ძირითადი თანასწორობის მრწამსის გაცნობიერება

აცნობიერების მიზანი: მოსწავლეები დაიწყებენ თანასწორობისა და სამართლიანობის გაგებას, ამოიცნობენ იმ მომენტებსა და გარემოებებს, როცა ყველას უნდა მოეპყრან ერთნაირად და, ამავე დროს, თითოეულ ადამიანს უნდა მოეპყრან ინდივიდუალურად.

ნიშვნელოვანი კითხვები:

- ოგორ გრძნობას იწვევს უთანასწორობა?
- ა არის ის, რაც ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს?
- ოველთვის ერთნაირად უნდა მოგვეპყრან?

წავლების მიზნები (მოსწავლეებს შეეძლებათ):

- მ მატერიალური ელემენტების შეთავაზება და ამოცნობა, რომლებიც ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს
- აბავშვო ლიტერატურულ ნაწარმოებში ან ვიდეოში წარმოდგენილი პრობლემის ინტერპრეტირება
- აცნობიერება იმისა, რომ სამართლიანი მოპყრობა შეიძლება დამოკიდებული იყოს გარემოებებზე

შეფასება: მასწავლებელმა უნდა წაახალისოს ყველა მოსწავლის ჩართულობა საკითხის განხილვისა და აქტივობების პროცესში.

ქტივობების თანმიმდევრობა:

- **შესავალი (5 წუთი): წინა გაკვეთილზე მომხდარის გახსენება**
  - ასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაიხსენონ, რა გააკეთეს წინა გაკვეთილზე: რა მოხდა მ&მ-ებით და როგორ აგრძნობინა მათ თავი ამ აქტივობამ სხვადასხვა მომენტში?

- **აქტივობა #1 (15 წუთი): თანასწორობაზე დაფიქრება/რეფლექსია**
  - ასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს რომელი იქნებოდა საუკეთესო გზა მ&მ-ების გასანაწილებლად ისე, რომ მოსწავლეების ყურადღებას მიმართავს თანაბარ/თანასწორ განაწილებაზე. მის შემდეგ მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, მათი აზრით, რა არის ის, რაც უნდა ჰქონდეს ყველა ბავშვს და სთხოვს დაფიქრდნენ, ყველა ბავშვს აქვს თუ არა წვდომა მათზე.

- **აქტივობა #2 (20 წუთი): სამართლიანობა ყოველთვის არ ნიშნავს ყველასთვის ერთი და იმავეს მიცემას**
  - ასწავლებელი კითხულობს “ყველაზე სამართლიან მასწავლებელს” (http://tiny.cc/G1L4R1) ჯეისონ ბაკლის ავტორობით.
  - ასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს სხვადასხვა კითხვას წაკითხულთან დაკავშირებით: რა მოხდა? ატომ გამოიცვალა სამსახური ალბერტმა? წორად იქცეოდა თუ არა ალბერტი, როცა ყველას ერთნაირად ეპყრობოდა? ა უნდა ექნა ალბერტს?

- **აქტივობა #3 (10 წუთი): გაზიარება**
  - ოლო 10 წუთის განმავლობაში ზოგი მოსწავლე გაუზიარებს კლასს, რა გააკეთა და შემდეგ მასწავლებელი დაასრულებს გაკვეთილს კომენტარებითა და რეფლექსიით თანასწორობასა და სამართლიანობაზე.

ესურსები მასწავლებლებისთვის:

- ველაზე სამართლიანი მასწავლებელი: http://tiny.cc/G1L4R1
- ასწავლებლის სახელმძღვანელო: http://tiny.cc/G1L4R2

ლასი 1, გაკვეთილი 5

“ ვენი საკუთარი ადამიანის უფლებების დეკლარაცია”

ხანგრძლივობა: 60+ წუთი
თემები: ინგლისური ენის ხელოვნება, სოციალური სწავლებები
სტანდარტები: შემცირებული უთანასწორობა (მიზანი 10); მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუციები (მიზანი 16)
ავტორი: Chloé Suberville

ეჯამება და დასაბუთება: ეს გაკვეთილი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს იმოქმედონ ნასწავლ უნარებზე და გამოიყენონ თანასწორობისა და უთანასწორობის შესახებ შეძენილი ცოდნა. ოგორც საზოგადოება, ისინი ჯგუფური მუშაობისა და კომუნიკაციის გამოყენებით შექმნიან ადამიანის უფლებების დეკლარაციას, როგორც თავიანთი კლასის საზოგადოების ნაწილს.

ასწავლო მიზანი: მოსწავლეებს შეეძლებათ ერთობლივად მუშაობა, რათა თანასწორობის შესახებ ნასწავლი გამოიყენონ და გაიაზრონ, რას ნიშნავს უფრო ფართო საზოგადოების ნაწილად ყოფნა.

აცნობიერების მიზანი: მოსწავლეები გააცნობიერებენ დოკუმენტის შექმნის მნიშვნელობას, როცა ყველა ვთანხმდებით იმაზე, რასაც ადამიანები იმსახურებენ. ოსწავლეები იმუშავებენ ერთად, რათა შექმნან საერთო დოკუმენტი უფრო ფართო საზოგადოების (კლასის) საკეთილდღეოდ და გააცნობიერებენ ასეთი დოკუმენტის მნიშვნელობას.

ნიშვნელოვანი კითხვები:

- ა არის ადამიანის უფლებების დეკლარაცია?
- ატომ არის მნიშვნელოვანი ერთობლივად მუშაობა?
- ოგორ შეგვიძლია ერთობლივად მუშაობა?
- ოგორ შევთანხმდებით იმაზე, რა დაიწერება დოკუმენტში?
- ოგორ წარმოვადგენთ ადამიანის ყველა უფლებას, რომელზედაც ვთანხმდებით?

წავლების მიზნები (მოსწავლეებს შეეძლებათ):

- აერთო მიზნის მისაღწევად ჯგუფურად მუშაობა
- თვითგამოხატვის უნარების შეძენა
- ანასწორობასა და უთანასწორობაზე შეძენილი ცოდნის გამოყენება
- თიკური ღირებულებების დაკავშირება შინაარსობრივ ცოდნასთან

შეფასება: ადამიანის უფლებების დეკლარაციის შექმნის დროს მასწავლებელი დადის საკლასო ოთახში და რწმუნდება, რომ მოსწავლეები მუშაობენ ერთობლივად. აბოლოო შეფასება იქნება ადამიანის უფლებების დეკლარაცია საბოლოო ფორმით.

ქტივობების თანმიმდევრობა:

- **ასაწყისი (10 წუთი):**
  - ასწავლებელი ეკითხება ბავშვებს, რა ახსოვთ მათ საზოგადოების/თემის ნაწილად ყოფნის შესახებ.
  - ას ნიშნავს იყო თანასწორი? უთანასწორო?
  - ა გზებით შეგვიძლია ყველანი ვიყოთ საზოგადოების ბედნიერი წევრები?
  - დამიანის უფლებების უნივერსალური დეკლარაცია (10 წუთი) მასწავლებელი წარმოადგენს დეკლარაციის (გამარტივებული ვერსიის) რამდენიმე პარაგრაფს და განიხილავს, როგორ შეიქმნა ისინი, თან ახსნის, რომ ძალიან ბევრი ადამიანი შეიკრიბა ამ დოკუმენტის შესაქმნელად, რომელიც უზრუნველყოფდა ყველა ადამიანის კეთილად მოპყრობას და მათს ბედნიერ ცხოვრებას ჩვენს პლანეტაზე.

- **დემოკრატია (5 წუთი):**
  - ასწავლებელი ხსნის, რომ წინა გაკვეთილებზე ნასწავლის მიხედვით მათ უნდა მოიფიქრონ ის რაღაცები, რაც უნდათ, რომ კლასში/კლასისთვის იყოს ჭეშმარიტი და ერთობლივად უნდა შექმნან დოკუმენტი.
  - ასწავლებელი ხსნის, რომ მოსწავლეებმა ხმა უნდა მისცენ ისე, რომ, როცა ეთანხმებიან, უნდა აწიონ ხელი და თუ უმრავლესობა ეთანხმება, მაშინ ეს ჩაიწერება დოკუმენტში.

- **არაგრაფების შექმნა (10 წუთი):**
  - ოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ 10 პარაგრაფი თავიანთი დეკლარაციისთვის. უ უმრავლესობა ეთანხმება ამა თუ იმ პარაგრაფს, ის შეიძლება ჩაიწეროს დოკუმენტში.
  - ბიძგეთ მოსწავლეებს იფიქრონ, რამდენად სამართლიანია მათი მოფიქრებული პარაგრაფები და როგორ შეიძლება ყველა მოსწავლის გათვალისწინება და ჩართულობის უზრუნველყოფა.

- **ასრულებული დეკლარაცია (10 წუთი):**
  - ოსწავლეები განაწილდებიან 2-3 კაციან ჯგუფებში და დახატავენ და დაწერენ სიტყვებს თითოეული პარაგრაფისთვის. ითოეული ჯგუფი ორიენტირებული იქნება ერთ პარაგრაფზე და წარმოადგენს მას სიტყვებისა და ნახატების საშუალებით.
  - ასწავლებელი შემდეგ აკინძავს ყველა სურათს და შექმნის ერთიან დოკუმენტს კლასის ადამიანის უფლებების დეკლარაციისთვის.
  - ასწავლებელი შეაჯამებს და დაასრულებს გაკვეთილს.

ესურსები მასწავლებლებისთვის:

- დამიანის უფლებების უნივერსალური დეკლარაცია (გამარტივებული ვერსია): http://tiny.cc/G1L5R1